№ 241 ნოემბერი 13, პარასკევი 1892 ნოემბერი 13, პარასკევი № 241

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ქართული თეატრი

შაბათს, 14 ნოემბერს,

ქართულ დრამატ. საზოგად. არტისტებისაგან წარმოდგენილ იქნება პირველად ახალი პიესები:

I

სტუმარი

დრამა 2 მოქმ. ედუარდ ბრანდესისა, თარგ. მ—ნისა.

II

ვის გავეყარე, ვის შევეყარე!

კომ. ხუმრობა 3 მოქ. გადმოკ. *** საგან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მძინაროვისა, ბ-ნნი: აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, და სხ.

შკვირდებისათვის კუპონები ლოჟაში 50 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ

ამ ცოტა ხანში დანიშნულია ბენეფისი არტისტის ვ. ა. აბაშიძისა.

ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

ტფილისის საზალოსნო სასწავლებელში

მისაღები ეგზამენები დაიწყება ამა წლის 3 დეკემბერს

(3—167—1)

დოქტორი ს. ვაჩაძე

იღებს ავადმყოფებს ნაშუადღევის 3 საათიდგან 6 საათამდე (ელისაბედის ქუჩა, კობიევის სახლი, № 116).

(30—13)

მიხ. ალ.-ძე ნასიძე

იყვანს კვლავინდებურად ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლის პირველ კლასებისათვის მოსამზადებლად.

ადრესი: ვარანცოვის ვიწრო ქუჩა, ძეგლის პირდაპირ, სახლი ზომერისა, № 5. (10—3)

ტფილისი, 12 ნოემბერი

წარსულს ორშაბათს ჩვენს ქალაქის საბჭოს მოუხდა გასინჯვა ქალაქის გამგეობის მოხსენებისა იმის თაობაზე, რომ საჭიროაო ჩვენგან ექვსის სარგებლით აღებული ორი სესხი ხუთის სარგებლიან სესხად გადავაქციოთო და ამით შეღავათი მივცეთ ქალაქის ჯიბესაო, ანუ, როგორც ეხლა იტყვიან, „კასსასა. ამ სახით ქალაქის გამგეობას სარჩიელი შეუტანია, რომ ეგრედ წოდებული კონვერსია მოახდინოს ორის თავის სესხისა.

გამგეობის მოხსენებაში სათინანსო გარემოება ამ საქმისა ასე თუ ისე ნახსენებია, ხოლო კონვერსიას თანა სდევს ერთი სხვა გარემოებაც, რომლის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის დახარჯული და ჩვენ-კი გვგონია, რომ მოხსენება გამგეობისა თავდაპირველად ამას უნდა შესდგომოდა, რადგანაც ამ გარემოების გამოურკვევლად ყოველივე ლაპარაკი კონვერსიაზედ, ყოველივე დავიდარაბა უქმად დროს გატარება არის.

კონვერსიას შესაძლოდა ჰხდის არსებობა ერთის იურიდიკულის გარემოებისა, რომელიცა მდგომარეობს იმაში, რომ სესხის ამღებს უფლება უნდა ჰქონდეს შერჩენილი და სესხის აღების პირობაშივე წინადვე მოხსენებული, რომ ყოველთვის და ყოველ დროს ნება აქვს სესხის ამღებმა ნასესხი ფული ჩააბაროს ფულის პატრონსა. თუ ეს პირობა დადებული არ არის წინადვე, კონვერსია შეუძლებელია და აი რა მიზეზით.

კონვერსია სხვა არა არის-რა ამ შემთხვევაში გარდა იმისა, რომ მეტ სარგებლიანი სესხი ნაკლებ სარგებლიან სესხზედ ჩამოხდეს. რა თქმა უნდა, რომ კანონი თავის დღეში არ შეიწყნარებს, რომ ეს მეტიდამ ნაკლებ სარგებელზედ ჩამოხდომა სესხის ამღების სურვილზე იყოს მიგდებული. თქვენგან მე ფული ავიღე, ვთქვათ, ექვს პროცენტად და ვინ მომცემს მე ნებას, რომ, როცა მოვინდომო, ხუთ პროცენტად გაგიხადოთ ეგ ექვსი პროცენტი. ეს რომ ასე იყოს, კანონმა რომ ამისთანა უკანონობა შეიწყნაროს როდისმე და ვისთვისმე, მაშინ ეგრედ წოდებულს საზოგადო და კერძო კრედიტსაც ძირიანად ბოლო უნდა მოეღოს, მაშინ კრედიტი უნდა გაუქმდეს სახელმწიფოში, იმიტომ, რომ ვინ გაიმეტებს გასაცემად ფულს, როცა სესხის ამღებს ნება ექმნება თავის სურვილისამებრ სესხის პირობა დაარღვიოს, თუნდა მთავრობის ნება-რთვითაც და დაპირებული სარგებელი ბევრიდგან ცოტაზედ ჩამოახდინოს.

თქმა არ უნდა, რომ სარგებლის დაკლება, სრულიადაც გაუქმება ყოველთვის სასურველი იქნება სესხის ამღებისათვის და ეჭვი არ არის, რომ ეს სურვილი უკლებელი იქნება. ხოლო საკითხი ეს არის: ვინ უყაბულებს ამასა? მაშ როგორ და რა საბუთით შესაძლოა კონვერსიის მოხდენა? მარტო ერთის საბუთით. ეს ის საბუთია, რომ სესხის აღებ-მიცემობის პირობაში გამოთქმული იყოს, რომ სესხის ამღებს ნება აქვს რა დროსაც ჰსურს თავნი თავის განვლილის სარგებლით დაუბრუნოს ფულის პატრონსა. მაშინ და მხოლოდ მაშინ შესაძლოა სესხის ამღებმა იზრუნოს კონვერსიისათვის. უამისოდ ერთის ბიჯსაც წინ ვერ წასდგამს სესხის ამღები ამ საქმეში.

როცა სესხის ამღებს ეს ნება ექმნება, მაშინ შეუძლიან ფულის პატრონს უთხრას: ან ექვსის პროცენტის მაგიერ ხუთ პროცენტს დამჯერდი ამას იქით და შენი ფული ჩემთან დარჩეს, ან არა და პირობისამებრ შენი თავნი თავის განვლილ სარგებლით მიიღე. ფულის პატრონი მაშინ იძულებულია უსათუოდ ან ერთს დასჯერდეს, ან მეორეს და ამას გადასწყვეტს იმისდა მიხედვით თუ—ფულის ბაზრის (денежный рынокъ) მეტ-ნაკლებობა რას ამბობს იმ წუთს. თუ რწმენა არ ექმნება, რომ თავის ფულს ხუთ პრაცენტზედ მეტად დააბინავებს სადმე საიმედოდ, რასაკვირველია, დასჯერდება სესხი ხუთ პროცენტზედ ჩამოახდომოს და თუ ექნება იმედი მეტად დაბინავებისა, თავის თავნს აიღებს განვლილის სარგებლითა და იქ დააბინავებს, საცა სარგებელი მეტია. ამ სახით ეს გარემოება, რომ სესხის ამღებს წინად გამორკვეული ნება აქვს ყოველთვის და ყოველს დროს თავნი დაუბრუნოს ფულის პატრონს,—და მარტო ეს გარემოება,—შესაძლებელად ჰხდის კონვერსიას სესხისას.

გამგეობის მოხსენებისაგან-კი, როგორცა ვსთქვით, სრულებით არა სჩანს, რომ როცა ქალაქს ან პირველი, ან მეორე სესხი აუღია, ეს პირობა, თავნის დაბრუნებისა ყოველს დროს, დაუდგენია, თუ არა. ჩვენის ფიქრით, ამისათვის საჭირო იყო ორიოდე სიტყვა გამოემეტნა გამგეობას, იმიტომ რომ უამისოდ ყოველი ლაპარაკი კონვერსიაზედ უქმია და გარეშე კაცსაც, რომელიც უწყებული არ არის საკონვერსიოდ განზრახული ორი სესხი ქალაქისა რა პირობით არის აღებული, ეგ ლაპარაკი კონვერსიაზედ უბრალო მასლაათად მიაჩნია, რადგანაც არ ხსენება აღნიშნულ გარემოებისა არ-ყოფილად ჩასათვლელია. აკი ვამბობთ, თუ სესხის პირობაში გარკვევით არა სწერია, რომ სესხის ამღებს ნება აქვს ვადაზედ ადრე ფული დაუბრუნოს, ვერა მთავრობა, ვერა კანონი, ვერა სამართალი იძულებულ ვერა ჰყოფს ფულის პატრონს ხელიდამ გაუშვას ვადამდე თამასუქი ქალაქისა, ესე იგი, ობლიგაცია და მის მაგიერ ან ძალად თავნი ფული მიიჩეოს, ან სარგებელი დაიკლოს. ამის გამო არა მთავრობა არ შეიწყნარებს არა ვითარს შუამდგომელობას კონვერსიის ნება-რთვისათვის. ამ შემთხვევაში ქალაქის სურვილისათვის მარტო ერთი გზაა: ექვს სარგებლიანი ობლიგაცია იყიდოს ქალაქმა და მის მაგიერ ახლად გამოსცეს ხუთ პროცენტიანი გასასყიდად. ასეთი გარემოება ასწევს, რასაკვირველია, ფასს ექვს პროცენტიან ობლიგაციისას და დასწევს ხუთ პროცენტიანისას და ეს მოქმედება ისე ძვირად დაუჯდება ქალაქს, რომ ამ გზით სურვილის ასრულება უგუნურება იქმნება.

◆

ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის სამკურნალოში 10 ნოემბერს ხოლერიანი ავადმყოფი იყო 2; კარგად გახდა ერ-

---

ფელეტონი

ელეგია

როგორღაც ვხედავ სიზმრებსა,
გულო დარჩები ტიალად,
ლამის რომ შენი ნაგრძნობი
შენვე დაგაჩნდეს ზიანად,
დაბნელდეს მაშინ სამყარო
თავის მთვარით და მზიანად.
ვაჰმე, რა ძნელი იქნება
მაშინ სიცოცხლე ჩემთვინა:
მემრის დღეებთან დავსწყევლი,
რაც მიცოცხლია დღემდინა.
რად მინდა, რადა, სიცოცხლე
მოწამლულისა გულითა,
უცხოვრო ქვეყანაშია
გადაგდებულის რჯულითა?!
მოდით, დამკალით მაშინა,
თავი მომჭერით ცულითა;
სადა ხარ, მამა-პაპურო
ანდერძო ჯავშანიანო,
გამოდეგ სამარის კარსა,
აჩრდილო მკლავიანაო,
ჩამბერე სული მაგარი,
სამშობლოვ მწვანიანაო.
ვერ მომკლავ, ჟამო ბედ-კრულო,
ხელში მიპყრია დანაო,
თუ გავსტყდე, შხამად შამერგოს
დედის ძუძუ და ნანაო;
იცოცხლე, გულო შენ ჩემო
ტანჯულო, ქალმნიანაო.

ვაჟა-ფშაველა

◆

საღირას-შენი. [1]

აჰა, მოვედი. დიდო საღირავ, [2]
სტუმრის მო ვარევ, ვით მეც სტუმარი,
შენს ტურფა სოფელს, სადაცა გიდგა,
ციხე-დარბაზი, მკვიდრი, მაგარი!
მაგრამ რას ვხედავ?! აღარცა ციხე,
აღარც დარბაზი, აღარც სოფელი,
ჩვეულებრ დროსა, შეუბრალებლად
მოუსვამს მედგრად, უწყალოდ ცელი.
მხოლოდ ნანგრევნი, ვით მოწამენი,
მას მოგვითხრობენ, რაც აქვსთ ნანახული,
რომე ოდესმე აქა ყოფილა,
დიდი სოფელი სახელ-განთქმული.
და წყარო ცივი, წმინდა, ანკარა,
მგზავრს ატკბობს ეგრეთ, ვითა ნექტარი,
და ისტორიის დამამშვენებლად
გვერდს ამართვია ციხე მაგარი.
აჰა, თამარის სატრფო ადგილი,
ახლოს გამშვენებს რა ბეთანია,
და რუსთაველის წმინდა ტაძარი,
მშვენიერს, ყრილს ტყეს აფარია [3]
და მისსა ქნარსა, ჩვენთვის უკვდავსა,
ვინ სცნოს, აქ რამდენ გზის უმღერია,
და ეს ადგილი წმინდად მარხული,
რამდენ გზის მტრის ხელს დაუჭერია.
შენსა ბირთვისსა, ციხეს მაგარსა,
თვით შაჰ-აბაზმა ვერ შემობედა;
ვერა რომლისა მტრისა ძალმა,
შენზედ ვერას გზით ვერ იმოქმედა.
შენ არ იყავი, მრთელი სომხეთი,
შენ საფარ ქვეშე რომ შეიფარე,
და მტრის ურიცხვი მხედრობა დაეც,
ძლევა—მოსილმა რომ გაიხარე?
და თვით ბუნებაც გმსახურებს ძეგლად,
ცალ-მხარეს მკვიდრი ბირთვის-ორბეთი,
და წინ განზიდულ მშვენიერ ველზედ
ძველადგან-ძველი მთელი სომხეთი.
მაგრამ რა? განქრა ძველი დიდება,
ასეა მარად ესე სოფელი,
მხოლოდ ქართველთა მატიანესა
დარჩა ერთოდენ შენი სახელი!..
ჰა, შემიბერა, გრილმა ნიავმა,
ფოთოლნი მოჰყვნენ რა რომ მღერასა,
და ქვემოდგანა თვით ნიაგარა [4]
სევდიან მღერას აწ აძლევს ბანსა.
მთლად არე-მარე ეს მშვენიერი,
მოუცავს სრულად ამოებასა,
და ჩემი ფიქრი სევდით აღვსილი
მთლად შეუპრია მჭმუნვარებასა.
ამ შენ წმინდასა სალმრთო ადგილსა,
საისტორიოდ აწ დაშთენილსა
მუხლსა მოვუდრეკ, მოწიწებითა,
თაყვანს ვცემ გრძნობით, სულით გულითა!..

ივ. კერესელიძე

---

[1] სოფლის საღირაშენის მებატონემ მიხეილ ისარლოვმა, მიგვიწვია ძველის სოფლის საღირაშენის მშვენიერის წყაროს სანახავად, რომელიცა გადმოქუხს მრავალწლოვან დაბურულ კაკლებ ქვეშა. არის საზაფხულოდ საუკეთესო სადგომი და იქვე აღმართულნი არიან ბუნებითი ციხეები: ბირთვისი და ორბეთი, სადაცა შეაფარებდა თავს მთელი სომხეთის ხეობა, და სადაცა ბევრჯელ დაუმარცხებიათ სომხეთელებს მტერი.

[2] საღირა იყო ბარათაშვილების პირველი თავი წინაპარი, რომელმაცა გააშენა სოფელი ბიროვისის ციხის ძირში და რომელმაცა უწოდა ამ სოფელს თავისივე სახელი საღირას-შენი.

[3] იქვე ახლოს სამ ვერსზედ, არის აგებული დიდი ნათლის ქვით ეკკლესია, რომელსაცა კარების ბჭეზედ აწერია: „ეკკლესია ესე აღვაშენე მე რუისთაველმა...“ დანარჩენი ჩამოქცეულია და არა სჩანს. მეორე მხრით საღირაშენისა, ჩრდილოეთით, სამ ვერსზედ დგას კიდევ დიდი, ნათლის ქვით აღშენებული ტაძარი; აღშენებული, როგორც ზედწარწერა ამტკიცებს, თამარ დედოფლისაგან და ამ ეკკლესიის შიგნით, მარჯვნივ მხრივ, კედელზედ დახატულნი არიან თითონ თამარ დედოფალი, დავით აღმაშენებელი და სხვ. ვინც ჰნახავს, იფიქრებს, თითქოს დიდი ხანი არ არის, რაც მხატვრის ხელი მოხვედრიაო.

[4] ნიაგარა ვუწოდე იმ პატარა მდინარესა, რომელიცა ფრიალო კლდეებში გადმოქუხს რამდენიმე საჟენის სიმაღლეზედ, ნიაგარის მზგავსად.

თი—ბახტიაროვი. 11 ნოემბერს, დილით, სამკურნალოში ერთი ქალი-ღა იყო ხოლერით ავადმყოფი.

ახალი ამბავი

⁂ მისი უმაღლესობა პრინცი კ. პ. ოლდენბურგსკი გუშინ, ამ თვის 11, ყარაიაზიდგან ტფილისში ჩამობრძანდა.

⁂ გუშინ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებლით გაატარეს ტაშკენტში გარდაცვალებულ გენერალ-ლეიტენანტის ბარანოვის გვამი, რომელსაც დასასაფლავებლად ბათუმიდგან გემით სევასტოპოლს და იქიდგან პეტერბურგს წაასვენებენ.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროს თავმჯდომარედ ნამყოფის ფონ-ვენდრიხის ძმამ სთხოვა მთავარ-მართებელს, ნება მიბოძეთ ჩემის გარდაცვალებულის ძმის გვამი რეველს გარდავასვენოო. ვიდრე ხოლერა იყო ტფილისში, ძმას ამის ნება არ მისცეს. ამ ჟამად-კი, რაკი ხოლერა მოისპო, მთავარ-მართებელმა ნება დაჰრთო გვამის გარდასვენებისა.

⁂ გუშინ წინ, 11 ნოემბერს, ტფილისის გუბერნატორმა გადასცა ქალაქის მოურავს 1,000 მანათი, რომელიც კავკასიის მთავარ-მართებელმა საზოგადო საჭიროებისთვის დანიშნულ ფულიდგან გადასდო 1892 წელს 6 იანვარს მომხდარ უბედურებით დაზარალებულთათვის. ამას უნდა დავუმატოთ ის ფული, რომელიც კერძო შემოწირულობით შესდგა, სულ 11,147 მან. 74 კაპ. მთავარ-მართებლის მიერ გადადებულ 1,000 მანათით შესდგება სულ 12,147 მან. 74 კაპ.

⁂ ხვალ, 14 ნოემბერს, მიემგზავრება ტფილისიდამ ბაქოს იქაურ სახელმწიფო ბანკის განყოფილების ახლად დანიშნული მმართველი, ჩვენი თანამემამულე ბ-ნი ნ. დ. ქანანოვი, რომელიც ამ ზაფხულს მხოლოდ დროებით ასრულებდა ზემოხსენებულს თანამდებობას. ბ-ნი ნ. დ. ქანანოვი წინად მსახურობდა ტფილისს, აქაურ სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში.

⁂ შემდეგი წარმოდგენა ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისა იქნება ხვალ, შაბათს, 14 ნოემბერს. წარმოსადგენად დანიშნულია ორი ახალი პიესა: ორ-მოქმედებიანი დრამა ბრანდესისა „სტუმარი“ და სამ-მოქმედებიანი კომედია ვალ. გუნიასი „კაის-გავეყარე—ვუის შევეყარე“.

⁂ ტფილისში არსდება ბ-ნ ა. ჯაბადარისა და ს. ინასარიძის მეთაურობით კიდევ ერთი ფრიად სასარგებლო საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს, დაეხმაროს ამიერ კავკასიაში დაბადებულ ღარიბ მოსწავლეთ. საზოგადოებას ეწოდება: „ამიერ-კავკასიაში დაბადებულ ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელი საზოგადოება“. საზოგადოების წესდების პროექტიდგან, რომელიც უკვე დაბეჭდილია, სჩანს, რომ ამ საზოგადოებას საგნადა აქვს შემწეობა აღმოუჩინოს ყოველ გვარ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთ, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. საზოგადოების თანხა შესდგება საწევრო გადასახადისა, ყოველ გვარ შემოწირულებისა (ფულით, წიგნებით, ნივთებით და სხ.), საზოგადოების მიერ დრო-და-დრო გამართულ კონცერტებისა, წარმოდგენებისა და სხ. ამ გვარის შემოსავლიდგან. საზოგადოება დაეხმარება ღარიბ მოსწავლეთ ფულითა, იაფ ფასიან და უფასო სასადილოების გამართვითა და სხ. სხვათა შორის ამ საზოგადოების წესდების ძალით, ყოველი მოწაფე, რომელსაც-კი შემწეობას აღმოუჩენს საზოგადოება, შემდეგში, როცა სწავლას დაამთავრებს და რაიმე საქმეს იშოვნის მოვალეა საზოგადოების მიერ დახარჯული ფული საზოგადოებასვე დაუბრუნოს.

სულით და გულით ვისურვებთ, რომ ეს ახალი საზოგადოებაც დღეგრძელი გამოდგეს. ვისურვებთ კიდევ, რომ ჩვენმა ერმა ამ საზოგადოებას ხელი მოუმართოს, თავისი წვლილი არ დაზოგოს ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის.

⁂ კვირას, 25 ნოემბერს, დანიშნულია მორიგი კრება ახლად დაარსებულის „სახლების აშენების საზოგადოებისა“.

⁂ ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს რომ 19 სექტემბრიდგან 1 ოქტომბრამდე ტფილისში ავად გამხდარა: ყვავილით 1 კაცი, ხუნაგით 2, ციმბირის ჭირით 1. ამავე დროს გარდაიცვალა: ყვავილით 1, ხუნაგით 2 და ციმბირის ჭირით 1 კაცი.

⁂ ახალ-სენაკი: ამას წინად ჩვენს დაბაში გარდაიცვალა ბლაღოჩინი დეკანოზი ნიკოლოოზ კალანდარაშვილი. განსვენებული ფრიად წარჩინებული, სასარგებლო და გავლენიანი კაცი იყო მთელს სამეგრელოში. უიმისოდ თითქმის არავითარი საზოგადო საქმე არ გაკეთდებოდა არა თუ სამღვდელოებაში, არამედ მოქალაქეთა შორისაც. იმისი უდროოდ სიკვდილი დიდად სამწუხაროდ შეექმნა მთელს სენაკის მაზრას და განსაკუთრებით იმის საბლაღოჩინო მრევლსა და ახალ-სენაკსაც. სხვათა შორის მისის მოთავეობით დაწყებულ ეკკლესიას წარსულ თვის უკანასკნელ რიცხვებში ბალავერი (საძირკველი) უკურთხა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა. მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, თუ რაოდენი შრომა მიუძღოდა განსვენებულს ეკკლესიის აშენებისთვის. აგრეთვე მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ მოქალაქეებს დაავალა, ყოველი ღონე ეღონათ და უკან არ დაეწიათ ეკკლესიის ასაშენებელ ხარჯის წინაშე. ეკკლესია კარგი გეგმითაა დაწყებული.

⁂ სოფ. ნატოხსა (სენაკის მაზრა): ძალიან იშვიათი შემთხვევა იქნება, რომ აქეთ ქორწილში ან კაცი არ მოკვდეს, ან არ დაიჭრას და ან რაიმე სხვა უსიამოვნება არ შეემთხვას. თუმცა ეს ასეა, მაგრამ მდაბიო ხალხს იმდენად სწამს ქორწილი, რომ იმის გადუხდელად ცოლის შერთვა სამარცხვინო საქმედ მიაჩნია. თუ ვინმემ ცოლი უქორწილოდ მოიყვანა, ამათის აზრით, თავი საზოგადოებაში აღარ გამოეყოფება. ამიტომაც სამეგრელოში ყოველ წელიწადს რამდენიმე სიცოცხლით სავსე და ჯანმთელი ახალ-გაზდა ყმაწვილი კაცი უდროოდ ესალმება წუთი-სოფელს. წელსაც ბევრი უსიამოვნება და შფოთი მოხდა ქორწილების გამო. კაცის-კვლა-კი, ღვთით, არ მომხდარა.

⁂ სამეგრელო: წრევანდელი წელიწადი ვერაფერი გამოდგა ჭირნახულის მოსავლისათვის: სიმინდი შარშანდელზედ ნაკლები მოვიდა მთელს სამეგრელოში. აგრეთვე სულ ცოტა მოვიდა „ადესაც“... აქეთ ამ ხანად მშვენიერი და სანაქებო დარები სდგას. დღისით საკმაოდ თბილა და არც ღამითა ცივა ძლიერ. ზოგიერთს სოფლებში მთარული ავადმყოფობაა, მაგრამ ზარალი არა მოაქვს-რა...

⁂ ახალ-სენაკი: ჯარში გასაწვევ ახალ-გაზდა ყმაწვილ კაცების ამორჩევა და კენჭის-ყრა დაიწყო პირველ ამ თვესა და გაგრძელდება ოცამდე. ჯარში წასაყვანად დანიშნულია მთელს სენაკის მაზრიდგან 90 კაცი,

⁂ ახალციხე: უპატრონოდ არის დატოვებული ეს ქალაქი და მეტადრე ის ნაწილი მისი, სადაც ქართველები მოსახლობენ. ამათთვის არც ქუჩების სისუფთავე, არც განათება, არც ერთი, არც მეორე. ქალაქის საბჭოში წარმომადგენელნი არა ჰყვანან ამ ნაწილს, გამგეობაში არავინ მსახურობს ამათგანი და აბა ვინ შეიტკივებს ამათთვის თავს. სხვაფრივაც დაჩაგრულია აქაური ქართველობა, დაჩაგრული უფრო ვაჭართაგან, რომელნიც ამათ სიტყვას არაფრად აგდებენ; მეტადრე სოფლიდგან ჩამოსულთ უმწარებენ ხოლმე სიცოცხლეს და, როგორც უნდათ, ისე ექცევიან.

ეს რამდენიმე თვეა, რომ ხოლერისაგან ზარ-დაცემულნი ახალციხის მიდამოს მცხოვრებნი, ახლა თულებისაგან ჩავარდნენ ისევ შიშში. თულები უშიშრად დადიოდნენ დღისით და ვისაც შეხვდებოდნენ, თუ ფული არ აღმოაჩნდებოდათ, ტყვედ მიჰყავდათ და პატრონებს დიდის სასყიდლით უბრუნებდნენ. ეხლა ჩვენდა სანუგეშოდ, ბ-ნმა ტფილისის მაზრის უფროსმა თავ. ლ. ჯანდიერმა რამდენიმე მათ შორის დაიჭირა და მით შიღავათი და მოსვენება მოგვეცა. შემდეგში, იმედია, ყველას შეიპყრობს ეს მხნე და გამრჯე კაცი. რაიცა შეეხება ახალციხის ახლო-მახლო სოფლებს, ამ ძველად დიდებულს ყოველის მხრით საქართველოს კუთხეს, შემდეგ მტარვალებისაგან საზარლად გაუერანებულს, აქ ახლა ქართველობას მარტო ძველი ნაშთები-ღა დაგვრჩომია. დაგვრჩენია იმ დროიდგან ჩუქურთმიანი ტაძრები, მონასტრები და ციხეები ზედ-წარწერებითა და აი ეს ნაშთნი-ღა გვაგონებენ, რომ ჩვენც ვყოფილვართ რამე. ქართველი აქეთ ქართულად აქა-იქ-ღა თუ ლაპარაკობს. ზნე-ჩვეულებაც ბევრნაირად გამოეცვალა აქაურს ქართველებს. გამაჰმადიანებულ ქართველებს თავიანთის მოლების წყალობით ქართული ენა თითქმის სულ დაუვიწყნიათ და, თუ ვინმემ იცის, ისინიც მოლების შიშით აღარ ლაპარაკობენ ქართულს. ამისთანა ქართველებისთვის მიუბაძნიათ, სამწუხაროდ, ქართველთა კათოლიკეთაც, რომელნიც თავიანთის მღვდლების წყალობით ქართულ ენისა და ზნე-ჩვეულების წინააღმდეგ მიდიან და ცდილობენ სულ სხვა ენა შეითვისონ. ზოგიერთმა ჩვენის ტომის მოკეთეებმა ისე მოახერხეს საქმე, რომ სრულებით განაძევეს ტაძრებიდგან ქართული ენა. ახლა ქართული ლამის სულ ამოიფხვრას ძირიან-ფესვიანად. თუმცა თითო-ოროლა ქართველი თავ-გამოდებით იბრძვის ქართულისა და ქართველობისათვის, მაგრამ თითო-ოროლა რას გახდებიან, წარმოიდგინეთ, რომ ზოგიერთს ქართველს გვარიც-კი გამოუცვლია და ჩვენის მეზობლების გვარის დაბოლოვება მიუკერებია თავის გვარისათვის.

⁂ გორის მაზრიდგან სწერენ გაზეთ „Т. Л.“-ს, რომ ერთს მწყემსს ზ. ჩერქეზიშვილს პოლიციის მოხელეთათვის გამოუცხადებია; ორი თავადიშვილი ქ. და ი. დამეცნენ და ორი ცხვარი წამართვესო. თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ თავადიშვილებს უმიზეზოდ მწყემსისათვის ორი ცხვარი წაერთოთ, მაგრამ ამ საქმის გამო მაინც გამოძიება არის დანიშნული.

მთავრობის განკარგულებანი

სამთო ინსტიტუტში სწავლა დამთავრებული ინჟინერი გიორგი დეკანოზიშვილი დანიშნულ იქმნა ერთის წლით სტატსკის სოვეტნიკის დოლობერიძეს მადნებში ინჟინერად. დანიშნულ იქმნა ბაღდათის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ დავით ჭანიაშვილი.

გადაყვანილ იქმნენ: ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელე ივანე იორამოვი ყაზახის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორაში, ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელე გიორგი ხოშტარია ქ. ახალ-სენაკში, ხოლო ახალსენაკის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელე ნიკოლოოზ ფიჩხაია ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორაში.

დამაკვირდი!

საშიშია ის, ვისაც დასაკარგავი არა აქვს-რა.

(გეტე)

ჭეშმარიტი ვაჟკაცობა—სიფრთხილეა.

(ევრიპიდი)

სიტყვა ყოველთვის უფრო გამბედავია, ვიდრე საქმე.

(შილლერი)

რამოდენადაც დიდია განათლება, იმოდენად დიდად ფასობს შრომა და გარჯა.

(როშერი)

გაფრთხილება ქონებისა დიდი შემოსავალია.

(სტობეი)

არის იმისთანა ვაჟკაცობა, რომელსაც თვითონ შიში შეჰქმნის ხოლმე.

(ბაირონი)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

იმერეთი. ვისაც სოფელში უცხოვრია და ცოტათი მაინც დაჰკვირვებია მის ავ-კარგს, ადვილად დამეთანხმება, თუ რა შავ დღეშია ჩავარდნილი სოფელი გაიძვერა და მატყუარა სოფლის მოხელეთა წყალობით. ისედაც გალატაკებულ-დაჩაგრულ გლეხობას ათას გზით ატყუილებენ და თვალებს უხვევენ უსინდისო მოხელენი. მათთვის აღარც სამართალია და აღარც შებრალება. ყველას ფული-ღა ახსოვს—ეს პატარა ღმერთი მე-XIX საუკუნესი. ვისის ხელიდამაც ფული უხვად გაიცემა, სამართალიც მისია და გამარჯვებაც. ამის მიმქმედ მოხელეთაც რა დაიმსახურეს გლეხთა წინაშე სამაგიეროდ? ურწმუნოება, უნდობლობა და სიძულვილი... აი ნიმუში ამ გვარის შემთხვევისა.

ხმა რომ გავარდა, ხოლერა გაჩნდა ქუთაისშიო, მაშინვე მაზრის უფროსმა ფიცხელი ბრძანება გასცა მამასახლისების მიმართ, ოთხ-ხუთის დღის განმავლობაში მოეკრიბათ ექვს-ექვსი შაური კომლზედ, ხოლერის საწინააღმდეგოდ. მამასახლისებმა შეჰკრიბეს ბევრგან ხალხი და მოსთხოვეს ყველას ფული; ზოგმა მისცა, მაგრამ უმეტესმა ნაწილმა უარი განუცხადა და დაიყვირა: „რის ფული, რას ამბობთ, გვეყოფა ამდენი მოტყუება და გაყვლეფა თქვენგნითაო“. მე თითონ მივუბრუნდი რამდენსამე და ვუთხარი, რომ ამ ფულის მოკრება აუცილებელი საჭიროებაა, რადგანაც ჩვენი ჯან-მრთელობისათვის არის დანიშნული და, თუ ვინიცობაა, ხოლერა არ გაჩნდა, თქვენი ფული უკანვე დაგიბრუნდებათ-მეთქი.

—უი, შე დალოცვილო, მაგისთანა დაპირებით რამდენი წაგვლიჯეს: „თუ არ დაგვჭირდება დაგიბრუნებთო“, მაგრამ რომ წეიღეს, მერე ლანდიც არ გვინახავს ჩვენ მისი.

ბევრის ყაყანის შემდეგ ფული მაინც მოგროვდა, მაგრამ აი რა მიამბეს, სხვათა-შორის, გლეხებმა ყოველ ამის შესახებ: „მართალია ისე ყრუები-კი არა ვართ, რომ ჩვენივე ჯანისათვის ექვსი შაური არ გვემეტოთ, ბატონო, მაგრამ, აი რა გვწვავს გულს: 1888 წელს, როცა ამ აღნიშნულის წლის ფოსტის ფული გადახდილი გვქონდა, ხელ-მეორედ ჩამოიარა „სბორჩიკმა“ და კიდევ მოგვთხოვა, ვითომ ძველის წლების „ნედოიმკაა“ დარჩენილიო. რა ძალა გვქონდა, ნებით რომ არ მიგვეცა, ნივთებს გამოიტანდნენ ჩვენის ოჯახიდამ და გაგვიყიდდნენ; ან-კი რა საბუთით გავუწევდით წინააღმდეგობას, როდესაც ფულის გადახდისა არავითარი ბარათი არ გვეძლევა „სბორჩიკისაგან“. ეს მეორედ მოკრეფილი ფული შესდგა სულ 900 მ.; ზოგიერთის კეთილ კაცების რჩევით ვიჩივლეთ, სადაც ჯერ იყო, და აღმოჩნდა, რომ ფული უკანონოდ იყო მოკრებილი, და უნდა დაგვრიგებოდა კუთვნილებისამებრ, მაგრამ დღესაც შარშანდელ თოვლივითაა გამქრალი.

გარდა ამისა, როგორც სთქვეს კიდევ, სამს წელიწადს ფოსტის ფულთან ერთად იკრიბებოდა თურმე იმ საოცარსა და უპატრონო სოფელში ოც-და-თექვსმეტ-თექვსმეტი მანათი მეტი, რომელიც შეადგენს 108 მან. ეს ფული დანიშნული იყო კანცელარიის ნივთიერად მოსაწყობად, მაგრამ არც ეს ფულია მიქცეული დანიშნულებისამებრ და ფულიც არა სჩანს.

აი როგორი მმართველები ჰყოლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა დღესაც ბევრგანა ჰყავს სოფელს! ოთხის წლის განმავლობაში, როგორც დამარწმუნეს გლეხებმა, ერთს სოფელში 1,200 მანათია მოკრებილი, გარეშე სავალდებულო მოთხოვნილებათა. სად არის ეს წანაგლეჯი ფული, რომელიც არავითარ საზოგადო საქმეს არ მოეხმარებია. თქმა არ უნდა, რომ ჩაჯიბულია ვისგანმე.

ესევე უნდა მოელოდეს იმ 150 მანათს, რომელიც ხოლერის საწინააღმდეგოდ მოიკრიბა იმერეთის ერთს სოფელში, მაგრამ არ დახარჯულა, რადგანაც სენი აღარ გაჩენილა იქ.

ყველა ამ უწესო და უკანონო ქცევას სოფლის მოხელეებისას და მეტმეტის ფულის მოკრებას დროა ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს. ამ ბოროტ-მოქმედების ასაცდენად საჭიროა მაზრის სამმართველოსაგან დაურიგდეს ყველა სამამასახლისოების „ზბორჩიკებს" საკვიტანციო დავთრები, როგორიც არის შემოღებული თელავის მაზრაში. ფულის მომკრები მიღებისათანავე მისცემს კვიტანციას, რომელშიაც აღნიშნული იქნება ფულის რაოდენობა და რომლის წლისას იხდის გლეხი. ამ საშვალებით მოისპობა ეხლანდელი უწეს-რიგობა და ყვლეფა ხალხისა.

საჭიროდ ვრაცხ, დასასრულ, მოვახსენოთ, რომ სოფელში საზოგადოდ გაზეთი დიდ ყურადღებას იქცევს, თუ-კი ვინმემ წაუკითხა ხალხს რამდენჯერმე. ეს მე თითონ გამოვცადე რამდენსამე სოფელში და დიდის აღტაცებითა და ხალისით ისმენდნენ წაკითხულს. ამისათვის სასურველი იქნებოდა, რომ რომელისამე კეთილის კაცის მოთავეობით თითო სამამასახლისოს თითო გაზეთი მაინც მისვლოდათ გაზეთის გამოწერისათვის ის ფული შეიძლება დაიხარჯოს, რომელიც ხოლერის საწინააღმდეგოდაა მოგროვილი; თითოეულ საზოგადოებაში 150 მ. 200 მანათამდეა მოგროვილი და რადგანაც ხოლერის გაუჩენლობით ეს ფული არ დახარჯულა, თითო თუმანს ნუ დაიშურებენ გაზეთისათვის, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანს გლეხობას და ცოტაოდნად მაინც აუხელს სხვა-და-სხვა სოფლის ჭამიათა ბოროტ-მოქმედებით ახვეულს თვალებს.

ლუარსაბ საჩინოელი

◆

საზარელი კაცის-კვლა

(წერილი შიდა-კახეთიდამ).

ოქტომბრის 29 გზად მიმავალი წავაწყდი საზარელ სანახაობას—კაცთაგან მოკლულ კაცს!.. სოფელ რუისპირში თავ. მაყაშვილის სახლებთან, გზატკეცილზედ, რა ალაგასაც წისქვილებისთვის და მთელის სოფლისთვისაც რუა გაყვანილი, სდგას ერთი პატარა დუქანი ვიღაც პაატაშვილისა. დუქანი და მის გარეშემო არე-მარე მეტად საეჭვო ადგილია—საეჭვოა იმიტომ, რომ ეს დუქანი სოფელზედ კარგა მოშორებით არის ბარდიან და ჭალიან ხევის პირზედ; სოფელს არაფერში არგია, ისე რომ მის დანახვაზედ ძალა-უნებურად იფიქრებს ადამიანი: ეს ფარდულა მოძულებულთა და ავ-ზნიანთა თავ-შესაფარად არის აშენებულიო. არც უამისოა!...

მიმავალმა ამ დუქნის წინ, შიგაც ხალხი დავინახე და გამიკვირდა, რადგანაც სხვა-და-სხვა დროს სულ ცარიელი მინახავს—მინახავს ამ დუქანში რამდენიმე იმერელი მეწისქვილე, რომელნიც ახლო სდგანან; რამდენიმე მეველე ლეკი თავ. მაყაშვილებისა და თავადებისავე ბიჭბუჭობა—აი ამ დუქნის მთელი „პრიხოდი" და მუშტარი... დუქნის მოშორებით, ასე ათ საჟენზედ, გზის პირად დავინახე გაშოტილი და ფარდაგ-წაფარებული კაცი, კაცთან ორიოდე სხვა კაცი, რომლებიც ყარაულები ყოფილიყვნენ. ამ სანახავზე ეჭვი დამებადა და ხალხს შევეკითხე:

— რა ამბავია-მეთქი?

— კაცია მოკლულიო! მიპასუხა ხალხმა.

— ვინ მოჰკლაო? ვიკითხე განმეორებით.

— რა მოგახსენოთ, გუშინდამ, ე. ი. სამშაბათს საღამოს, პირველ შებინდების დროს, ყმაწვილებს და ამ საბრალოს მოსვლიათ ლაპარაკი და ეს-კი მოუკლავთ, დააბოლოვა ხალხმა.

საოცარია! უფრო საოცარი და სამწუხარო მაშინ იქნება ეს უბედური შემთხვევა, როცა მის დაბადების სათავეს შეიტყობთ! ამ კაცის-კვლის ვითარება—როგორც ხალხმა მიამბო—აი როგორა ყოფილა: 27 ოქტომბერს ერთ-ერთს რუისპირელს ახალგაზდას, მაყაშვილს, ღვინის გადაღება ჰქონია, თუ სირაჯი ჰყოლია—ორში ერთი რამ. ამ ყმაწვილ თავადიშვილს ან ყოფილან სტუმრად ორი, ხნით და ჭკვით მისი სწორი, სხვა ყმაწვილიც: ერთი თავადიშვილივე, მეორე-კი ვიღაც თელაველი... როცა ეს სამი ყმაწვილი კაცი „სუფრიდამ" აშლილან, კარგა შებინდებული ყოფილა. კახურისაგან ცხრა ცას დაწეული ყმაწვილი კაცები გზა-ტკეცილზედ გამოსულან, რომელიც ეზოს პირზე ჩაუდის (ის დუქანი იქვეა). ამ დროს თიანეთის მხრიდგან გზა-გზა რამდენიმე ცხენოსანი კაცი თურმე მოდის, მათ შორის ერთი ბეჩავი მეწვრილმანე სომეხიც, ახმეტაში და მატაანში (სოფლებია) მოვაჭრე, ისიც კურთხეულის ვაზის წვენისაგან გაყეინებული.—მოდის და მოღიღინებს თურმე თავის ჰანგზე არხეინად. ეს სამი ყმაწვილი და მგზავრები გზაზე შეიყრებიან. ერთმა ყმაწვილკაცთაგანმა, როგორც გადმომცეს, დასცინა თურმე მეწვრილმანის მხიარულებას. ამ დაცინვაზედ მეწვრილმანემ ყმაწვილები უკადრისად ახსენა. ყმაწვილებმაც სართი არ დაუგვიანეს, შეჰყვნენ და ისე თურმე დაუმლაშეს ორივემ ერთმანეთს, რომ, ბოლოს, შუღლი და კინკლაობაც გამოუვიდათ, რომელიც გათავდა იმით, რომ თელაველმა ყმაწვილმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა მეწვრილმანე, რომელმაც გათენებამდინაც ველარ იცოცხლა. საბრალოს ძალიან ღარიბს და წვრილშვილს ამბობენ...

ამ ამბავთან ერთი საკვირველი და მართლაც „ადვაკატ-აბლაკატის" დამასურათებელი ამბავი კიდევ მიამბეს იქ მყოფთ: „წელან, „პრისტავი" რომ აქ იყო, თელავიდგან ცხენის ჭენებით მოვარდა ერთი კაცი—ვიღაც პოვერნიოო. ეს კაცი სვინდისიან-ნამუსიან ვაჭრობით განთქმულ ვაჭართა „პოვერნია" არისო. ჰაიარათ მოსულმა „პრისტავს" გამოუცხადა, რომ ამა და ამ ვაჭრებს მოკლულისთვის დაბეჭდილი წერილი გამოუტანებიათ, რომელშიაც ექვსი თუმანი ფული დებულაო, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ და სახეში იქონიოთ, რომ ის ექვსი თუმანი არ დაგვეკარგოსო... კიდევ კარგი, რომ წერილი გამომძიებელმა მართლა მოკლულის ჯიბეში იპოვნა, გახსნა და შიგ ერთი მანეთი აღმოაჩინაო, თორემ საწყალ ყარაულებს ჰპრალდებოდაო", სთქვეს კაცებმა. უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ ვაჭრებისა და მათ „პოვერნიის" სვინდისის შესაფერი პროცენტი ექნებოდა ამ მანეთს, ვინიცობაა, წერილი დაკარგულიყო.

რასაკვირველია, მე ის არ ვიცი, ამ კაცის-კვლაში მარტო ერთია დამნაშავე, თუ სამივენი, ამას გამოძიება აღმოაჩენს, ხოლო ეს ცხადია, რომ ეს დუქანი ამ ადგილას ყოვლად მავნებელია და ამ გვარი უბედურება კიდევაც მრავალი დატრიალდება, ამაში ეჭვი არ არის, თუ აქაურმა პოლიციამ არ მოსპო მისი მოქმედება. მართალია, ამ შემთხვევაში დუქანს ბრალს არა სდებენ, მაგრამ მაინც ადვილად საფიქრებელია, რომ ყმაწვილმა კაცებმა, შინ რომ ქეიფი მოიწყინეს, ახლა დუქანს მიჰმართეს—ღამეა, თავისუფლად დროს გავატარებთო, რაიცა ადვილად წარმოსდგება შექეიფიანებულის ყმაწვილკაცისაგან, და, თუ ეს დუქანი არა ყოფილიყო, იქნება, შინიდგან გარეთაც არ გამოსულიყვნენ. ქეიფს თავი დავანებოთ, იქნება პაპიროსი მოუნდათ, სულ ერთი არ არის?

მერე, განა ეს პირველი შემთხვევაა ამ დუქანთან? სულ რვა თვეს არ გაუვლია და სწორედ მესამეა ეს ამბავი. პირველი ამბავი მოხდა დიდმარხვაში: ამ დუქნის დახლიდარმა საფანტით გატენილი თოფი დასცა მეველე ლეკს და კინაღამ არ მოჰკლა; დახლიდარი ამის გამო რამდენიმე თვე ციხეში იჯდა. მეორე ამბავი მაისის ოც-და-ხუთს მოხდა: იმერლებსა და სომხებს მოუვიდათ ჩხუბი, რომლებიც რევოლვერ-ხანჯლებით დაერივნენ ერთმანეთს; ამათი საქმე, ვგონებ, ეხლაც ოლქის სასამართლოშია. მესამე ამბავი ხომ ზემო აღწერილია. ნუ თუ ეს ამბები საკმაო არ არის, რომ პოლიციამ ყურად იღოს და, რა გზიდაც-კი შეიძლება, ბოლო მოუღოს ამ მავნებელ დუქნის არსებობას.

სხვა კახეთის ამბები ის არის, რომ ხოლერა, ღვთის მადლით, ჩვენგან შორს არის. იყო რამდენიმე შემთხვევა, მაგრამ ზოგი საეჭვო, ზოგიც უსაფუძვლო, პური ნაკლებ მოგვივიდა, ღვინო—მრავლად. შარშანდელი ღვინო თუ მუშტამდე მიდიოდა, წლევანდელი ხანჯლამდე მიდის, ამიტომა სირაჯები ძალიან ეტანებიან და კარგს ფასსაც იძლევიან. ამინდები ძალიან კარგია. ეს ორი დღეა, რაც ღრუბელი დავინახეთ. ვეჭობ, მთები ჩამოთოვლა, როგორღაც სიცივესა ვგრძნობთ.

◆

რუსეთი

გაზეთ „Рус. Вѣд."-ში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი გრაფ ლ. ნ. ტოლსტოისა. ეს წერილი რუსეთის აწინდელ ცხოვრებისა და გლეხ-კაცობის ვითარებას შეეხება. აი რასა სწერს სხვათა შორის ლ. ნ. ტოლსტოი:

„რომ მკითხოთ, რუსეთის გლეხკაცობის საეკონომიო ვითარება წელს როგორი არისო, სწორეთ მოგახსენოთ, პასუხს ვერ მოგცემთ. ვერ მოგცემთ პასუხს იმიტომ, რომ ჩემს თავს ისეთს მკურნალს ვადარებ, რომელიც ფეხ-ნაღრძობ ავადმყოფთან მიუყვანიათ, მკურნალს გაუსინჯავს და აღმოჩენილა, რომ ეს კაცი სრულიად სნეული ყოფილა. რას გიპასუხებთ მკურნალი, რომ ვინიცობაა ჰკითხოთ, ავადმყოფს ხომ არა უჭირს-რაო? რასა მკითხავთო, თავის მხრივ შეგეკითხებათ მკურნალი, თუ ავადმყოფის ფეხის შესახებ მეუბნებით, არა უჭირსა-რა, საშიში არ არის, მაგრამ საზოგადოდ ეს კაცი კარგად ვერ არის, ძრიელ სნეულია.

ესეც რომ არ იყოს, მაინც ვერ გეტყვით, როგორია ამ ჟამად ვითარება რუსეთის გლეხ-კაცობისა. ძლიერ გაჭირვებულია გლეხ-კაცობა, თუ არა უჭირს-რა? ვერ გეტყვით ამას იმიტომ კიდევ, რომ ყველა ჩვენთაგანი, ვინც გლეხ-კაცთა შორის ვცხოვრობთ, ძლიერ შევეჩვიეთ ხალხის სიღარიბეს, გაჭირვებასა და ტანჯვას.

ქალაქს, შეძლებული, მაძღარი და ფუფუნებაში მცხოვრები კაცი-კი რომ მოვიდეს სოფლად და გლეხის ქოხი ნახოს, სწორედ რომ გაოცდება. თვალ-წინ წარმოუდგება მშიერ-მწყურვალი მთელი ოჯახი, რომელიც სიცივით იკრუნჩხება. ხან ერთი ძვრება შიგ ბუხარში გასათბობად და ხან მეორე. ამ საცოდავს ხალხს შეშა სრულებით არ მოეპოვება, სახლის დერეფანს ანგრევენ და კვირაში ერთხელ ძლივს ათბობენ ოთახს, ცალიერ პურით იკვებებიან და ამ პურშიც, ვინ იცის, რას არ ურევენ. ნახავს, რომ ცოლი ქმარს ეჩხუბება, და—ძმასა, შვილი—მამას, ჩემზედ მეტს პურს რადა სჭამო. ნახავს, რომ გლეხი ოთახიდამ გარედ ვერ გადის ზამთარში, რადგანაც არც ტანთსაცმელი მოეპოვება და არც ფეხთსაცმელი. ნახავს ყველა ამას ქალაქიდამ სოფლად მოსული კაცი და გაოცდება. ჩვენ-კი, ვინც მუდამ სოფლად ვსცხოვრობთ, ყველა ამას ისე მივეჩვიეთ, რომ ყურადღებასაც არ ვაქცევთ, თითქოს დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველა ეს ასე უნდა იყოს, გლეხი მაშ რის გლეხია, თუ მუდამ მშიერი, მწყურვალი და ტანთჩაუცმელი არ იქნებაო. ვიმეორებ, ჩვენ ისე მივეჩვიეთ გლეხის სიღარიბეს და სიღატაკეს, რომ ყურადღებასაც-კი აღარ ვაქცევთ.

რა მოელის წელს ჩვენს მხარეს, სადაც პური შარშანდელზედაც-კი ნაკლებად მოვიდა, შეშა სულ არ მოიძებნება და ხალხს შარშანდელის წლის მოუსავლობის გამო უკანასკნელი ძალ-ღონე გამოჰლევია?

მაშ რა გვეშველება? ნუ თუ კიდევ სიმშილი? კიდევ დამშეულნი! სასადილოები? ყველა ამან ხომ თავი მოგვაბეზრა!

დიაღ, ყველა ამან თავი მოგაბეზრათ თქვენ, პეტერბურგსა და მოსკოვში, და აქ-კი, სოფლად, როცა დღე ყოველ დილით საღამომდე მხოლოდ ეს გესმის: „ორი დღე პური არ გვიჭამია, უკანასკნელი ცხვარი გავყიდეთ, რა გვეშველება, აღსასრულის დღე დაგვიდგაო",—ყველა ეს,—სათქმელადაც-კი მეთაკილება,—ისე მოგვბეზრდა, რომ გლეხ-კაცს ისეთის თვალით შევცქერით, თითქოს ყველა ღარიბი გლეხი ჩვენი მტერია.

დილით ადრე ვდგები; ჩინებული დღეა; აღმომავალი მზე წითლად ანათებს არე-მარეს; გამოვდივარ გარედ; იმედი მაქვს, ჯერ ადრეა და არავის შევხვდები. თქვენც არ მომიკვდეთ. ვაღებ კარებს და ვხედავ, რომ კარებთან ორი კაცი ატუზულა. ერთი—მაღალი, მხარ-ბეჭიანი, ფერ-მიმკრთალი, თვალებ ჩაცვივნილი გლეხია, დაძონძილ ტყავში გახვეული, მხარზედ ცალიერი აბგა გადუკიდნია. მეორე—14 წლის ყმაწვილია, ისიც რაღაც ძონძებში გახვეული. მინდა ავსცდე როგორმე ამ საცოდავებს, მაგრამ გზას მიღობავენ და სალამს მაძლევენ. მეტი გზა არ არის, ვბრუნდები დერეფანში. თან შემომყვებიან.—რა გინდა?—თქვენთან გიახელით.—რისთვის? თქვენთან გიახელით, ბატონო.—მერე რა გინდა? შემწეობისთვის გიახელით.—რომელ შემწეობისთვის?—სიმშილით ვიხოცებით: გვიშველეთ როგორმე.—საიდგანა ხართ?—ს. ზატვორნიდგან.

მე ვიცნობ ამ სოფელს. გაღარიბებულ-გაღატაკებული სოფელია. ამ სოფელში ჯერ სასადილო არ გაგვიმართავს. ამ სოფლიდგან ასობით დაძრწის ხალხი საგლახაკოდ. ეს კაცი მათხოვარი უნდა იყოს; ჯავრი მამდის, მით უმეტეს, რომ ყმაწვილიც თან დაჰყავს.—კარგი, წადი, აქ ვერას გიშველი; აი, თქვენ სოფელში მოვალთ და მოგიხერხებთ რასმე. გლეხი ისევ თავისას გაიძახის: „არაფერი არ მოგვივიდა, ოჯახში 8 სული მყავს ულუკმა-პუროდ, შრომა ჩემს მეტს არავის შეუძლიან, დედაკაცი გარდაიცვალა, ძროხა ზაფხულშივე გავყიდეთ, შობა დღეს ერთად-ერთი ცხენი მომიკვდა, მე კიდევ ჯანი გამვარდეს, ბალღები სიმშილით მეხოცებიან, სამი დღე არა უჭამიათ-რა". ბევრჯელ გამიგონია ყველა ეს; ველოდები, როდის გაათავებს წუწუნს. გლეხი განაგრძნობს: „მეგონა, როგორმე თავს დავახწევდი გაჭირვებას, მაგრამ ძალ-ღონე გამომელია, ჩემს სიცოცხლეში არ მიგლახავნია, ეხლა-კი, ეტყობა, ღმერთმა ხელი აიღო ჩვენზედ.—კარგი, კარგი, თქვენ სოფელში მოვალთ და დაგეხმარებით, ვუპასუხე საჩქაროდ და ვსცდილობ თავი დავახწიო, გარედ გამოვიდე. უეცრად ყმაწვილს შევხედე. ყმაწვილი ხვეწნა-მუდარისა და თანაც იმედის გამომხატველ ცრემლ-მორეულ თვალებით შემომცქერის. ფერ-მკრთალსა და დატანჯულ სახეზედ ეტყობა, რომ ქვითინს ძლივს იმაგრებს. აგერ თვალებიდგან მოსწყდა ორი ცრემლი და იატაკზედ დაეცა. გლეხის სიტყვები ჩემთვის არ ახალია, ძველია; ყმაწვილისთვის-კი ეს სიტყვები გამომხატველია იმ ტანჯვა-ვაებისა, რომელიც მთელს ოჯახს გამოუვლია. მე-კი ყველა ეს დიდი ხანია მომბეზრდა და ვეშურები, გარედ გავიდე სასეირნოდ!

დიაღ, ჩვენ მოგვბეზრდა ხალხის ტანჯვა-ვაება. მაგრამ ხალხს მაინც ჭამა უნდა, ჰსურს სიცოცხლე, ბედნიერება. ამ საცოდავთა გულიც გამსჭვალულია სიყვარულით, სიცოცხლის სურვილით. ამ საცოდავის ყმაწვილის ცრემლ-მორეული, ლამაზი თვალები თითქოს მეუბნებიან: შემიბრალეთ, მეც მსურს ამ ქვეყნად სიცოცხლეო.

◆

უცხოეთი

საფრანგეთი. ანარქისტი ვიქტორ რაზე, რომელიც შეიპყრეს დინამიტის აფეთქების გამო, და გამომძიებელს ატალიენს გადასცეს, უარს ამბობს დანაშაულზედ: „Bon Enfans“ ქუჩაზედ მომხდარ აფეთქებაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო. რაზე უჩვენეს კარის ქალსა და ერთს მდგმურს იმ სახლისას, სადაც აფეთქება მოხდა, და იმათა სთქვეს: რაზე ის ახალგაზდა კაცი არ არის, რომელიც აფეთქების წინად ერთის მკერვალის ქალის ადრესსა ჰკითხულობდა და ქ-ნ პარენის კარის ზარი დააწკარუნაო. ქურქჩმაშუმანმა, რომელთანაც მსახურობდა რაზე, ფიცს ქვეშ სთქვა გამომძიებელთან: აფეთქების დღეს რაზე სამუშაოდგან გარედ არ გასულაო. გაზეთ „Temps“-ის სიტყვით რაზეს სახლში, გაჩხრეკის დროს, უპოვნიათ მრავალი წერილები, რომლებიდგანაც სჩანს, რომ რაზეს დიდი მიწერ-მოწერა ჰქონია საფრანგეთისა და უცხო-ქვეყნების ანარქისტებთან; რაზეს სახლშივე უპოვნიათ ანარქიული წიგნები, ბროშიურები და დარიგებანი შესახებ ასაფეთქებელ წამლების მომზადებისა. სახლის განჯინაში უპოვნიათ ორი შუშა რაღაც წამლებითა, ეს შუშები სამოქალაქო ლაბორატორიაში გაუგზავნიათ გასასინჯათ.

ბელგია. ბელგიაში ჯერ კიდევ არ გათავებულა მანიფესტაციები შესახებ იმისა, რომ არჩევანებში კენჭი ყველას უნდა ჰქონდესო. ამ დღეებში გენტში დემონსტრაცია მოხდა, რომელშიაც აუარებელმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა. პოლიციას ხალხის ბრბო უნდა გაეფანტა, მაგრამ ხალხი არ დაემორჩილა. პოლიციასა და უწესობის ამტეხთა შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. ორსავე მხრიდგან რამდენიმე კაცი მძიმედ დაიჭრა. ბრიუსელსა და მიდამოებში ყოველ დღეა მანიფესტაციები. პალატთა სესიის დაწყების დღეს ხალხმა დიდი დემონსტრაცია მოახდინა და საღამომდე არ დაშლილა. საღამოთი სენ-მიშელის დარბაზში მიტინგი მოახდინა, აქედგან ხალხი მეფის სასახლისაკენ გაემგზავრა და გზაში ყვიროდა: „გაუმარჯოს საყოველთაო არჩევანებსაო“. პოლიციამ ხალხის ბრბო ვერ შეიმაგრა და იძულებული შეიქმნა, არტილერია და ცეცხლის მქრობელი რაზმი მიეწვია; შეერთებულის ძალით ხალხის ბრბო გაჰფანტეს. ორსავე მხრიდგან რამდენიმე კაცი მძიმედ დაიჭრა. მეორე დღეს ალგამბრას თეატრში ხალხის ყრილობა მოხდა. დარბაზში 3,500 კაცზედ მეტი შეიკრიბა. მათ შორის პალატის რამდენიმე დეპუტატი იყო, რომელთაც სიტყვები წარმოსთქვეს შესახებ იმისა, რომ არჩევანები უეჭველად საყოველთაო უნდა იყოსო. კრების შემდეგ ხალხმა ქუჩებში კიდევ მანიფესტაცია მოახდინა.

წვრილი ამბავი

— საფრანგეთის მწერალმა, ალექსანდრე დიუმამ ამ წლის დასაწყისს გაუ- და სურათების გალლერეა და ეხლა კიდევ ადვოკატ დრეიფუსისათვის 450,000 ფრანკად მიუყიდნია თავისი სახლი.

— ინგლისში კვირა დღის უქმობას არ არღვევენ. წარმოიდგინეთ, აქამდე სამკითხველოებისა და მუზეუმების გაღების ნებასაც-კი არ აძლევდნენ კვირა დღეებში. ასეთმა სისტემამ განონმა ამ 16 წლის წინად ლონდონში წინააღმდეგობა გამოიწვია და დაარსდა საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს მუზეუმებისა, სამკითხველოებისა, ბაღებისა და საჯარო ბიბლიოთეკების გახსნის უფლება სთხოვოს მთავრობას. ბირმინგამის ქალაქი პირველი მიემხრო ამ საზოგადოებას. ბირმინგამს 30-მდე სხვა-და-სხვა ქალაქიც მიემხრო. ინგლისის სასულიერო წოდება არ თანაუგრძნობდა მაშინ ამ საზოგადოების სურვილს, მაგრამ ახლა-კი სამღვდელოებას თითონვე გამოუცხადებია, რომ წირვა-ქადაგების შემდეგ აისრულეთ თქვენი წადილიო — გააღეთ მუზეუმები და ბიბლიოთეკებიო. მარტო ერთს ქალაქში, ლონდონში, ერთს კვირა დღეს 14 გამოფენა გაიმართა, სხვა-და-სხვა ოლქის წარმომადგენლებს თხოვნა დაუმზადებიათ და გლადსტონს უნდა მიართვან, დაკანონებულ იქმნას კვირა დღეებში სურათების გამოფენისა, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების გაღებაო. რამდენსამე დეპუტატს ქვედა პალატისას პირობა მიუციათ მთხოვნელთათვის, მხარს დაგიჭერთ პალატის საზოგადო კრებაზედ და თქვენს თხოვნას აგასრულებთო.

— პარიჟელ ქალებს აკადემიის დაარსება განუზრახავთ, ისეთის აკადემიისა, როგორიც მამაკაცებისათვის არის პარიჟში, ეგრედ წოდებული ორმოც „უკვდავთა“ აკადემია. წევრად მისაღებად გამორჩენილი და მეცნიერი ქალებიც დაუსახელებიათ. გაუმართავთ პირველი კრება, მაგრამ ასირებული ამბავი მოსვლიათ: თავმჯდომარე ვერ აურჩევიათ, იმიტომ რომ წევრებად სულ ახალგაზდა ქალები ყოფილან და აკადემიის წესდების ძალით-კი თავმჯდომარედ ხნიერი ქალი უნდა იყოს. აკადემიის მდივნის თანამდებობაზედ ორი ახალგაზდა ქალი აურჩევიათ.

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ შემდეგი ანგარიში დამიბეჭდოთ: ქ. თელავში 12-ს სექტემბერს ამა წლისა თელავის საქალაქო დედათა სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა შემწეობის აღმოსაჩენად დაარსებულ საზოგადოების მმართველობამ გამართა საცეკვაო საღამო ხსენებულს საზოგადოების შემოსავლების გასაძლიერებლად. შემოსავალი იყო: ბილეთებისა 77 მან., ბუფეტისა და ვახშმიდგან—50 მან. 85 კაპ. და სათამაშო ქაღალდიდგან—6 მან. სულ 133 მან. 85 კაპ. ამ შემოსავლიდგან საღამოს გამართვისათვის დაიხარჯა 72 მან. 52 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 61 მან, 33 კაპ.

თავმჯდომარე საზოგადოებისა ეკატერინე
სოლომონის ასული აბელოვისა

ქ. თელავი
5 ნოემბერი 1892 წ.

დეპეშა

12 ნოემბერი

პეტერბურგი. ამ დღეებში სახელმწიფო საბჭო განიხილავს კანონპროექტებს ნავთისა, არაყისა და სპირტის აქციზის მომატების შესახებ.

ვორონეჟი. ნოვოხოპერსკში ხარკოვის სამოსამართლო პალატამ, სხვა-და-სხვა წოდებათა წარმომადგენელთა თანადასწრებით, 5 და 6 ნოემბერს გაარჩია საქმე სოფ. მაკაროვკას 38 გლეხისა, რომელთაც სასანიტარო წესების წინააღმდეგობა ბრალდებოდათ. პალატამ გაამართლა 11 კაცი და რამდენიმე მოხუცი, ვითომ-და წინააღმდეგობისათვის შეუგულიანებელნი დანარჩენ ბრალდებულთ 1 თვიდგან 1 წლამდე ციხეში დაპატიმრება მიუსაჯეს.

ბერლინი. გრაფმა კაპრივიმ, აღნიშნა რა სხვა-და-სხვა საბუთები სამხედრო კანონ-პროექტის დამტკიცების საჭიროებისა წარმოსთქვა, რომ ეს საქმე შეეხება გერმანიის მომავალ ბედ-იღბალსაო. „გერმანიაო, სთქვა კანცლერმა, სრულიად არ არის მოწადინებული, ან საგერი, ან სატევი ომი დაიწყოს. შემდეგ კაპრივი ამტკიცებდა, გერმანიას 1870 წელს საფრანგეთი არ გამოუწვევია საომრადაო და თ. ბისმარკს ემსკის ყალბი დეპეშა არ შეუდგენიაო. „ცნობილი სახელი რუსეთის იმპერატორისა, დასძინა კანცლერმა, საუკეთესო თავდებია მშვიდობიანობისა. რუსეთის მხედრობის გაძლიერება, თუმცა დღეს საშიში არ არის, ხოლო შემდეგში შეიძლება განსაცდელს გვიქადდეს; გერმანიამ თითონ უნდა იკისროს უმთავრესი ტვირთი სამთა კავშირისა და მუდამ მზად იყოს საომრად, თუნდა ორის მხრიდგანაც მოადგეს მტერი. შემდეგ კანცლერმა ვრცლად განმარტა, რა სამხედრო ცვლილებაა მოსახდენი და საიდგან უნდა ვიშოვნოთ მისთვის საჭირო ფულიო. დასასრულ მან მიჰმართა გრძნობას მამულის მოყვარეობისასა ახალი იმპერია და დასდო თავი თვისი მისთვის. საჭიროა, რომ არავის შეეძლოს სთქვას, ვითომ იმ თავდადებულთ ამაოდ დაანთხიეს თვისი სისხლიო, ხოლო დღევანდელ გერმანელთ დაზოგეს ფული, რომელიც საჭირო იყო გერმანიის დაცვისათვისაო. მოისმა ხმა მოწონებისა.

პეტერბურგის ბირჟა, 10 ნოემბ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გარიგებისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	8,09	8,12	,,
ტამოჟნის კუპონები	$161\frac{3}{4}$	$162\frac{1}{2}$	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1,08	1,09	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	$241\frac{1}{4}$
—მეორისა	— ,,	— ,,	$219\frac{1}{4}$
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი	— ,,	— ,,	$190\frac{3}{4}$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	102	— ,,	— ,,
5%	— ,,	— ,,	99,62
ქუთაისის ბანკისა 6%	102	— ,,	— ,,
5%	99,87	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	$97\frac{3}{4}$	— ,,	— ,,

საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა და სხ. პატრონთ, რომ, საზოგადოების წესდების § 30 ძალით, ამ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება საკუთრად ვენახებისა, ბაღებისა და სხ. დაზღვევისათვის სეტყვისაგან. განყოფილების მოქმედება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა მსურველნი დაზღვევისა იქმნებიან იმდენი, რომ მათის დასაზღვევის მამულების სა- ღაური 500,000 მან. იქნება.

სურვილი თვისი უნდა გამოუცხადონ საზოგადოების საგენტოს დილის 9—12 საათამდე, ხოლო მერმისს პირველ იანვრიდგან დილის 9—3 საათამდე. (აბას-აბათის მოედანი, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ საკუთარი სახლი). იქვე შეიძლება მიიღოს მსურველმა შემდეგი წიგნები:

Страхованіе отъ градобитія.

Краткій очеркъ развитія этой отрасли обезпеченія въ Германіи и Россіи.

Сборникъ свѣдѣній для опредѣленія убытковъ, причиняемыхъ культурнымъ растеніямъ градобитіями и др. атмосферическими вліяніями, а также насѣкомыми и болѣзнями.

Составилъ В. А. Таргонскій

საგენტოს გამგე დ. ქ. თუთაევი.

1893 წლის 1 იანვრიდგან არსდება ტფილისში

„უნივერსალი საგენტო“

დ. ქ. თუთაევისა

აბას-აბათის მოედანზედ, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, დილის 9—3 საათამდე.

საქმე საგენტოსი:

I რიგისა

დაზღვევა სიცოცხლისა ყოველ იმ წესით, რა წესითაც-კი შესაძლოა.

დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავისა და მოძრავის ქონებისა.

დაზღვევა ჭირნახულისა და ვენახებისა სეტყვისაგან.

გასყიდვა 5-%-იან მომგების ბილეთებისა I და II სესხისა და სახელმწიფო სათავად-აზნაურო მომგებიან გირავნობის ფურცელთა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით და ხელ-მოსაცემ პირობით.

დაზღვევა მომგებიან ბილეთებისა გაბათილებისაგან უზრუნველ-ყოფისათვის, თითო ბილეთისა 60 კაპეიკად.

II რიგისა

შედგენა ხარჯთ-აღრიცხვათა და გეგმებისა შენობათა ასაგებად. (საგენტოს ჰყავს საკუთარი ხუროთ-მოძღვარი-არხიტექტორი).

შესრულება ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ყველა საქმისა, რომელიც-კი შეეხება მთავრობისა და სხვა კერძო დაწესებულებათა, აგრეთვე კომერციის და სხ.

საგენტო ტვირთულობს სოფლისა და ქალაქის მამულების დაგირავებას ტფილისის სათავად-აზნაურო და სახელმწიფო ბანკში და აგრეთვე საკრედიტო საზოგადოებაში.

რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული **1.000,000** მან.)

პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, 27

ისყიდება 5%-იანი მომგებიანი ბილეთები I და II სესხისა და გირავნობის ფურცელნი სახელმწ. საადგილ-მამულო ბანკისა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით.

ზეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი 10% იმისი, რაც ბილეთი ჰღირს ბირჟაზედ (არა ნაკლებ 15 მან.). ყოველ თვეგ-და-თვეგ უნდა გადახდილ იქმნას იმდენი, რამდენსაც თვით მყიდველი ისურვებს (არა ნაკლებ 5 მან.)

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ზეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა გაბათილებისაგან ჰღირს 60 კაპ.

(20—12) აგენტი დ. ქ. თუთაევი

რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა

კანტორა უმთავრესის საგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

(30—16) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.

კერძო ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაფის ხასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩის კუთხე, სახლი პაპოვისა, № 9/2, ვარანცოვის ძეგლიდამ მეოთხე სახლი.

(10—9)